

## განმარტებითი ბარათი

“ელექტროენერჯის ტარიფების შესახებ” საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 4 დეკემბრის №33 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე”

საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის დადგენილების პროექტზე შპს „ჯიფაუერისთვის“ გარანტირებული სიმძლავრის საფასურის და გარანტირებული სიმძლავრის წყაროს ელექტროენერჯის წარმოების ტარიფის დადგენის შესახებ

საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2017 წლის 19 დეკემბრის №37 დადგენილებით შეტანილი იქნა ცვლილება „ელექტროენერჯის ტარიფების შესახებ“ საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (შემდგომში – კომისია) 2008 წლის 4 დეკემბრის №33 დადგენილებაში და შპს „ჯიფაუერისთვის“ /აირტურბინული ელექტროსადგური/ (შემდგომში – საწარმო) 2018 წლის 1 იანვრიდან 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით მოქმედების პერიოდზე განისაზღვრა, დღეს მოქმედი, შემდეგი სატარიფო განაკვეთები:

- გარანტირებული სიმძლავრის საფასური დღეზე – **44,874** ლარის ოდენობით;
- ასანაზღაურებელი დღეების რაოდენობა – არაუმეტეს **336** დღისა;
- გარანტირებული სიმძლავრის წყაროს ელექტროენერჯის წარმოების ზღვრული (ზედა ზღვარი) ტარიფი - **9.431** თეთრი/კვტსთ.

ვინაიდან ზემოაღნიშნული სატარიფო განაკვეთები განსაზღვრული იყო 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით მოქმედების ვადით, „ელექტროენერჯეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის 44-ე მუხლისა და „ელექტროენერჯის ტარიფების განაგარიშების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“ კომისიის 2014 წლის 30 ივლისის №14 დადგენილებით დამტკიცებული

ტარიფებისა და ეკონომიკური ანალიზის დეპარტამენტი  
27 დეკემბერი, 2018 წელი

*შპს „ჯიფაურის“ (აირტურბინა) გარანტირებული სიმძლავრის საფასური და ელექტროენერჯის წარმოების ზღვრული (ზედა ზღვარი) ტარიფი*

„გარანტირებული სიმძლავრის საფასურის, გარანტირებული სიმძლავრის წყაროს ელექტროენერჯის წარმოების და ელექტროენერჯეტიკული ბაზრის ოპერატორის მომსახურების ტარიფების გაანგარიშების მეთოდოლოგიის“ (შემდგომში – სატარიფო მეთოდოლოგია) 21-ე და 22-ე მუხლების საფუძველზე, გარანტირებული სიმძლავრის საფასურისა და გარანტირებული სიმძლავრის წყაროს ელექტროენერჯის წარმოების ტარიფის (ზედა ზღვარი) დადგენის მოთხოვნით, საწარმოს მიერ 2018 წლის 4 ივლისის №2246908 /კომისიაში რეგისტრაცია 04.07.2018წ., №8036/01/ წერილით კომისიაში წარმოდგენილი იქნა სატარიფო განაცხადი თანდართული მასალებით, რომელიც შეიცავდა შემდეგ დოკუმენტაციას:

1. შევსებული სატარიფო განაცხადი;
2. გრძელვადიანი ძირითადი მატერიალური და არამატერიალური რეგულირებადი აქტივების რეესტრი;
3. 2017 წლის სასაქონლო ზედნადებებისა და დღგ-ის ანგარიშ-ფაქტურების შემოსავლების სამსახურის RS რეესტრები;
4. 2017-2018 წლების საბანკო ამონაწერები და ცნობა დავალიანების შესახებ;
5. ოფიციალურად დამოწმებული მოქმედი საშტატო განრიგი შესაბამისი სახელფასო განაკვეთებით;
6. ხელშეკრულებები საკონსულტაციო, აუდიტორულ, იჯარაზე, დაცვაზე, საწარმოო ქონების სადაზღვევო პოლისი;
7. საგადასახადო ორგანოში წარდგენილი, 2017 წლის ქონების, მოგების, საშემოსავლო და დღგ-ის დეკლარაციები;
8. სამეწარმეო და ქონების საკუთრების დამადასტურებელი ამონაწერები საჯარო რეესტრიდან;
9. მოქმედი და 2017 წელს სხვადასხვა საქონლის, მომსახურებისა და სამშენებლო სამუშაოების შესყიდვის მიზნით გაფორმებული ხელშეკრულებების რეესტრი;

*ტარიფებისა და ეკონომიკური ანალიზის დეპარტამენტი  
27 დეკემბერი, 2018 წელი*



*შპს „ჯიფაურის“ (აირტურბინა) გარანტირებული სიმძლავრის საფასური და ელექტროენერჯის წარმოების ზღვრული (ზედა ზღვარი) ტარიფი*

10. საწარმოს ცალხაზოვანი და სიტუაციური სქემები;
11. სარემონტო და ავარიული სამუშაოების აღწერა;
12. ელექტროენერჯის შესყიდვის, მიღება-ჩაბარების აქტებისა და ანგარიშსწორების დოკუმენტების ასლები.

რაც შეეხება საწარმოს 2017 წლის აუდიტებულ ფინანსურ ანგარიშგებას, იგი კომისიაში უკვე წარმოდგენილი იყო 2018 წლის 11 ივნისის №2245188 (კომისიაში რეგისტრაცია 12.06.2018წ., №7148/01) წერილით.

სატარიფო განაცხადი, სრულყოფილებისა და კანონშესაბამისობის შესახებ სამართლებრივი შეფასებისათვის, გადაგზავნილი იქნა კომისიის იურიდიულ დეპარტამენტში. ტარიფებისა და ეკონომიკური ანალიზის დეპარტამენტმა ელექტროენერჯეტიკის დეპარტამენტთან ერთად განიხილა ლიცენზიატი საწარმოს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია სატარიფო განაცხადთან ერთობლიობაში და ელექტროენერჯეტიკის დეპარტამენტის 2018 წლის 6 ივლისის №1925 დასკვნის თანახმად მიჩნეულ იქნა, რომ იგი სრულყოფილია და შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. ამასთან, იურიდიულმა დეპარტამენტმაც უზრუნველყო შესაბამისი დასკვნის /№1933, 06.07.2018წ./ წარმოდგენა, სადაც აღნიშნული იყო, რომ სატარიფო განაცხადთან დაკავშირებით სამართლებრივი სახის რაიმე შენიშვნები არ გააჩნიათ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კომისიის 2018 წლის 17 ივლისის №56/2 გადაწყვეტილებით დაიწყო საჯარო ადმინისტრაციული წარმოება „ელექტროენერჯის ტარიფების“ შესახებ კომისიის 2008 წლის 4 დეკემბრის №33 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოსაცემად. გადაწყვეტილების თანახმად ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ბოლო ვადად განისაზღვრა 2018 წლის 31 დეკემბერი, ხოლო მოსაზრებების წარდგენის ბოლო ვადად 2018 წლის 1 ოქტომბერი, 18:00 საათი.

*ტარიფებისა და ეკონომიკური ანალიზის დეპარტამენტი  
27 დეკემბერი, 2018 წელი*

**კომერციულ საიდუმლოებად ცნობის მოთხოვნა**

საწარმოს მიერ 2018 წლის 4 ივლისის №2246908 წერილით მოთხოვნილი იქნა, რომ სატარიფო განაცხადით წარმოდგენილი გარკვეული ინფორმაცია და დოკუმენტაცია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 27<sup>2</sup>-ე მუხლის საფუძველზე მიჩნეული ყოფილიყო კომერციულ საიდუმლოებად და მისი დაცვის უზრუნველსაყოფად, სხდომის ის ნაწილი, სადაც მოხდებოდა კომერციული საიდუმლოების განხილვა, გამოცხადებულიყო დახურულად. საწარმოს მოსაზრებით კომერციული საიდუმლოების შემცველ დოკუმენტაციას წარმოადგენდა:

- 2017 წლის სასაქონლო ზედნადებებისა და დღგ-ის ანგარიშ-ფაქტურების შემოსავლების სამსახურის (RS) რეესტრები;
- 2017-2018 წლების საბანკო ამონაწერები და ცნობა დავალიანების შესახებ;
- საგადასახადო ორგანოში წარდგენილი, 2017 წლის ქონების, მოგების, საშემოსავლო, დამატებული ღირებულების გადასახადის დეკლარაციები;
- ელექტროენერჯის შესყიდვის, მიღება-ჩაბარების აქტებისა და ანგარიშსწორების დოკუმენტების ასლები;
- ხელშეკრულებები საკონსულტაციო, აუდიტორულ, იჯარაზე, დაცვაზე, საწარმოო ქონების სადაზღვევო პოლისი;
- მოქმედი ხელშეკრულებები და 2017 წელს სხვადასხვა საქონლის, მომსახურებისა და სამშენებლო სამუშაოების შესყიდვის მიზნით გაფორმებული ხელშეკრულებები;
- ოფიციალურად დამოწმებულ მოქმედ სამტატო განრიგში (შესაბამისი სახელფასო განაკვეთების ჩვენებით) არსებული პერსონალური ინფორმაციის დაცვის უზრუნველყოფა, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

აღნიშნული საკითხის განხილვის მიზნით, 2018 წლის 17 ივლისის კომისიის სხდომის დღის წესრიგში შეტანილი იქნა საკითხი „სატარიფო განაცხადზე ტარიფებისა და ეკონომიკური ანალიზის დეპარტამენტი 27 დეკემბერი, 2018 წელი“



*შპს „ჯიფაურის“ (აირტურბინა) გარანტირებული სიმძლავრის საფასური და ელექტროენერჯის წარმოების ზღვრული (ზედა ზღვარი) ტარიფი*

თანდართული დოკუმენტაციის ნაწილობრივ კომერციულ საიდუმლოებად მიჩნევის თაობაზე შპს „ჯიფაურის“ მოთხოვნის განხილვის შესახებ“. კომისიის მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებამდე ზემოთ ხსენებული დოკუმენტაცია დაცული იქნა გასაჯაროებიდან.

კომისიის 2018 წლის 17 ივლისის №56/10 გადაწყვეტილებით, შპს „ჯიფაურის“ მოთხოვნა 2018 წლის 4 ივლისის №2246908 წერილით მოთხოვნილი ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად ცნობის შესახებ დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. კერძოდ, კომერციულ საიდუმლოებად ცნობილ იქნა:

- 2017 წლის სასაქონლო ზედნადებებისა და დღგ-ის ანგარიშ-ფაქტურების შემოსავლების სამსახურის (RS) რეესტრები;
- 2017-2018 წლების საბანკო ამონაწერები და ცნობა დავალიანების შესახებ;
- საგადასახადო ორგანოში წარდგენილი, 2017 წლის ქონების, მოგების, საშემოსავლო, დამატებული ღირებულების გადასახადის დეკლარაციები;
- ოფიციალურად დამოწმებული მოქმედი საშტატო განრიგი შესაბამისი სახელფასო განაკვეთების ჩვენებით თანამდებობრივი სარგოების ნაწილში.

ხოლო დოკუმენტაციის დანარჩენი ნაწილის კომერციულ საიდუმლოებად ცნობაზე საწარმოს ეთქვა უარი.

ტარიფებისა და ეკონომიკური ანალიზის დეპარტამენტში (შემდგომში – დეპარტამენტი) დასრულდა მუშაობა აღნიშნულ სატარიფო განაცხადზე და შემდგომი გადაწყვეტილების მიღების მიზნით, კომისიისთვის წარმოდგენილია შესაბამისი დადგენილების პროექტი წინამდებარე განმარტებებით.

ენერჯეტიკის მინისტრის 2006 წლის №77 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტროენერჯის (სიმძლავრის) ბაზრის წესების“ შესაბამისად გარანტირებული

*შპს „ჯიფაუერი“ (აირტურბინა) გარანტირებული სიმძლავრის საფასური და ელექტროენერჯის წარმოების ზღვრული (ზედა ზღვარი) ტარიფი*

სიმძლავრის უზრუნველყოფის პერიოდს, სიმძლავრის თითოეული წყაროს მიხედვით განსაზღვრავს საქართველოს მთავრობა.

მიმდინარე მდგომარეობით, საქართველოს მთავრობის 2010 წლის 15 ივლისის №193 დადგენილებით განსაზღვრულია გარანტირებული სიმძლავრის წყაროები, ამ წყაროების მიერ უზრუნველყოფილი მინიმალური გარანტირებული სიმძლავრეები და გარანტირებული სიმძლავრით უზრუნველყოფის პერიოდები, მათ შორის:

№	გარანტირებული სიმძლავრის წყარო (წარმოების ლიცენზიატი)	თბოსადგურის დასახელება	გარანტირებული სიმძლავრე (მგტ-ში)	გარანტ. სიმძლავრით უზრუნველყოფის პერიოდი
1	შპს „ჯიფაუერი“	აირტურბინული ელექტროსადგური	80	2016 წლის 1 აპრილიდან 2019 წლის 1 აპრილამდე
			60	2019 წლის 1 აპრილიდან 2020 წლის 1 სექტემბრამდე

**საფუძველი**

„ელექტროენერჯის ტარიფების გაანგარიშების მეთოდოლოგიების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2014 წლის 30 ივლისის №14 დადგენილებით დამტკიცებულია „გარანტირებული სიმძლავრის საფასურის, გარანტირებული სიმძლავრის წყაროს ელექტროენერჯის წარმოების და ელექტროენერჯეტიკული ბაზრის ოპერატორის მომსახურების ტარიფების გაანგარიშების მეთოდოლოგია“ (დადგენილების დანართი №3) და ასევე „სატარიფო რეგულირებას დაქვემდებარებული საწარმოების რეგულირებადი აქტივების ცვეთა/ამორტიზაციის ნორმები“ (დადგენილების დანართი №4) (შემდგომში – დადგენილი ცვეთის ნორმები).



*შპს „ჯიფაურის“ (აირტურბინა) გარანტირებული სიმძლავრის საფასური და ელექტროენერჯის წარმოების ზღვრული (ზედა ზღვარი) ტარიფი*

აღნიშნულიდან გამომდინარე, შპს „ჯიფაურისთვის“ გარანტირებული სიმძლავრის საფასურის და გარანტირებული სიმძლავრის წყაროს ელექტროენერჯის წარმოების ტარიფის (ზედა ზღვარი) გაანგარიშება განხორციელდა ზემოთ ხსენებული მოქმედი სატარიფო მეთოდოლოგიით განსაზღვრული, საერთაშორისო პრაქტიკაში მიღებული პრინციპების საფუძველზე, რომელიც უზრუნველყოფს საწარმოს სტაბილურ ფუნქციონირებას, გაწეული გონივრული დანახარჯების ანაზღაურებას და სამართლიანი მოგების მიღებას. ამავე სატარიფო მეთოდოლოგიით ტარიფების გაანგარიშება ხდება „დანახარჯები პლუს“ რეგულირების პრინციპის შესაბამისად.

ასევე, სატარიფო მიზნებისათვის კომისიის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, ქვემოთ ჩამოთვლილი კომპანიებისგან წარმოდგენილი იქნა შემდეგი ინფორმაციები:

➤ *სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“* (დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი) 2018 წლის 22 ნოემბრის №6643/17 წერილი – ინფორმაცია 2017 და 2018 წლებში ჩატარებული და 2019 წელს ჩასატარებელი გეგმური რემონტების დღეების რაოდენობის შესახებ, რომელთა განმავლობაშიც საწარმოს არ ჰქონდა/ვერ ექნება უზრუნველყოფილი გარანტირებული სიმძლავრე.

➤ *სს „ელექტროენერჯეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორის“* (ბაზრის ოპერატორი) 2018 წლის 16 ოქტომბრის №01/1276 და 2018 წლის 12 დეკემბრის №01/1401 წერილები – ინფორმაცია საწარმოს მიერ გამომუშავებული ელექტროენერჯის მოცულობების, უზრუნველყოფილ გარანტირებულ სიმძლავრეზე დარიცხული და გადახდილი თანხების, გარანტირებული სიმძლავრის უზრუნველყოფის პერიოდისა და ესკოს მომსახურების საფასურის შესახებ (2017 – 2018 წლის ნოემბრის თვის ჩათვლით).

➤ *სს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიის“* (ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების ლიცენზიატი) 2018 წლის 17 ოქტომბრის №1/08-1-2176 და 2018 წლის 12 დეკემბრის №1/08-1-2521 წერილები – ინფორმაცია საწარმოს *ტარიფებისა და ეკონომიკური ანალიზის დეპარტამენტი*  
*27 დეკემბერი, 2018 წელი*

*შპს „ჯიფაუერის“ (აირტურბინა) გარანტირებული სიმძლავრის საფასური და ელექტროენერგიის წარმოების ზღვრული (ზედა ზღვარი) ტარიფი*

საკუთრებაში არსებული თბოელექტროსადგურის მიერ მოხმარებული ბუნებრივი გაზის შესახებ (მათ შორის, ელექტროენერგიის წარმოებისა და კომერციული მოხმარების მიზნების მიხედვით) 2017 წლიდან 2018 წლის ნოემბრის ჩათვლით.

**ტარიფის დადგენის პერიოდი**

სატარიფო მეთოდოლოგიის საფუძველზე, კომისიის მიერ ტარიფები დგინდება ყოველწლიურად, კონკრეტული საწარმოსთვის ინდივიდუალურად და მოქმედებს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით. შესაბამისად, აღნიშნული მეთოდოლოგიის გათვალისწინებით, შპს „ჯიფაუერისთვის“ გარანტირებული სიმძლავრისა და გარანტირებული სიმძლავრის წყაროს ელექტროენერგიის წარმოების ახალი სატარიფო განაკვეთების დადგენა უნდა განხორციელდეს 2019 წლის 1 იანვრიდან 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით მოქმედების პერიოდზე.

**რეგულირებადი აქტივების ბაზა და კაპიტალური დანახარჯები**  
*(ცვეთა/ამორტიზაცია და ამონაგები რეგულირებად აქტივებზე)*

საწარმოს მიერ სატარიფო განაცხადის ფარგლებში წარმოდგენილია მის საკუთრებაში არსებული, რეგულირებად საქმიანობაში მონაწილე/მოქმედი რეგულირებადი აქტივების ბაზის დეტალური რეესტრი (აქტივის ექსპლუატაციაში შესვლის კონკრეტული თარიღი, შექმნის ან შექმნის საწყისი თვითღირებულება, სასარგებლო გამოყენების ვადები ცვეთა/ამორტიზაციის წრფივი დარიცხვის მიზნებისათვის, დაგროვილი ცვეთა, წმინდა საბალანსო (ნარჩენი) ღირებულება, დაფინანსების წყარო და რეგულირებადი აქტივის/კაპიტალური დანახარჯის გატარების სტატუსი) 2018 გაანგარიშების წლის მიმდინარე (8 თვე) პერიოდის მდგომარეობით, რომელიც წარმოადგენს ამ პერიოდის განმავლობაში ფაქტობრივად

*ტარიფებისა და ეკონომიკური ანალიზის დეპარტამენტი  
27 დეკემბერი, 2018 წელი*



*შპს „ჯიფაურის“ (აირტურბინა) გარანტირებული სიმძლავრის საფასური და ელექტროენერჯის წარმოების ზღვრული (ზედა ზღვარი) ტარიფი*

განხორციელებული, დოკუმენტურად დადასტურებული (კაპიტალიზირებული) ინვესტიციების სტრუქტურას.

დეპარტამენტი კანონშესაბამისად და დასაბუთებულად მიიჩნევს სატარიფო განაცხადით წარმოდგენილ ინფორმაციას საწარმოს რეგულირებად საქმიანობაში მონაწილე ძირითადი საწარმოო აქტივების ისტორიული ღირებულების გაანგარიშებასთან დაკავშირებით, ვინაიდან იგი მთლიანობაში შესაბამისობაშია წინა სატარიფო რეგულირებისას განსაზღვრულ რეგულირებადი აქტივების ღირებულებასთან.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საწარმოს მიერ სატარიფო განაცხადით წარმოდგენილი რეგულირებადი აქტივების რეესტრის მიხედვით და მასზე დეპარტამენტის მიერ აღნიშნული დაზუსტებების გათვალისწინებით, სატარიფო რეგულირების მიზნებისთვის გაანგარიშებულ იქნა 2019 წლის რეგულირებადი აქტივების ღირებულება და იგი მოცემულია შემდეგ ცხრილებში:

**შპს „ჯიფაურის“ რეგულირებადი აქტივები ბაზა - 2019 წ. /ლარი/**

დასახელება	საწყისი თვით ღირებულება	წმ. ღირ. წლის დასაწყ.	წლიური ცვეთა	დაგროვილი ცვეთა	წმ. ღირ. წლის ბოლოს
მიწა	123,784	123,784	-	-	123,784
შენობები	295,521	181,510	14,996	129,007	166,514
ნაგებობები	1,030,848	700,331	41,290	371,806	659,041
მანქანა - მოწყობილობები	80,818,195	53,520,252	3,221,254	30,592,613	50,225,582
გადამცემი მოწყობილობები	340,001	222,245	14,628	132,384	207,617
საოფისე მოწყობილობები	94,675	14,101	10,195	90,768	3,907
<b>ავეჯი</b>	<b>10,496</b>	<b>1,350</b>	<b>448</b>	<b>9,595</b>	<b>902</b>

შპს „ჯიფაურის“ (აირტურბინა) გარანტირებული სიმძლავრის საფასური და ელექტროენერჯის წარმოების ზღვრული (ზედა ზღვარი) ტარიფი

ხელსაწყოები და სხვა ძირითადი საშუალებები	228,112	156,918	9,497	80,691	147,421
<b>Σ (RAB)</b>	<b>82,941,633</b>	<b>54,920,491 (54,580)</b>	<b>3,312,307</b>	<b>31,406,865 (54,580)</b>	<b>51,534,767</b>

შპს „ჯიფაურის“ მიერ განხორციელებული წმ. ინვესტიციები /მლნ. ლარი/

დასახელება	2010 (საწყისი)	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018 (მიმდინარე)
მიწა	0.1225	-	-	-	-	0.0013	-	-	-
შენობები	0.2225	-	0.0501	0.0293	(0.0007)	(0.0056)	-	-	-
ნაგებობები	0.9891	-	0.0154	0.0055	0.0208	-	-	-	-
მანქანა/დანადგარები	74.9954	1.7232	0.5213	0.3829	0.9614	0.2152	1.7890	0.1322	0.1709
გადამცემი მოწყობილობები	0.3296	-	0.0104	-	-	-	-	-	-
საოფისე მოწყობილობები	0.0663	0.0009	0.0046	-	(0.0003)	0.0018	0.0088	-	0.0126
ავეჯი	0.0095	-	0.0005	(0.0009)	0.0018	(0.0017)	0.0014	-	-
ხელსაწყოები და სხვა ძირითადი საშუალებები	0.0482	0.0006	0.0068	0.0712	0.0326	0.0306	0.0133	0.0242	0.0006
<b>Σ</b>	<b>76.7832</b>	<b>1.7247</b>	<b>0.6091</b>	<b>0.4880</b>	<b>1.0156</b>	<b>0.2415</b>	<b>1.8124</b>	<b>0.1564</b>	<b>0.1841</b>

შესაბამისად, შპს „ჯიფაურის“ მიერ კომისიაში წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, საწარმოს საკუთრებაში არსებული რეგულირებად საქმიანობაში მონაწილე, მოქმედი რეგულირებადი აქტივების წმინდა საბალანსო (ნარჩენი) ღირებულება სატარიფო წლის დასაწყისისთვის (2019 წელი) უნდა განისაზღვროს 54,975,071 ლარის ოდენობით, წლიური ცვეთა/ამორტიზაცია – 3,312,307 ლარის ოდენობით.

სატარიფო მეთოდოლოგიის მიხედვით საფასური/ტარიფი უნდა ითვალისწინებდეს ამონაგებს რეგულირებადი აქტივების ბაზაზე

ტარიფებისა და ეკონომიკური ანალიზის დეპარტამენტი  
27 დეკემბერი, 2018 წელი



*შპს „ჯიფაურის“ (აირტურბინა) გარანტირებული სიმბლავრის საფასური და ელექტროენერჯის წარმოების ზღვრული (ზედა ზღვარი) ტარიფი*

(კაპიტალდაბანდებებზე) და იანგარიშება რეგულირებადი აქტივების სატარიფო წლის დასაწყისში არსებული წმინდა საბალანსო ღირებულების მიმართ კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულების (კომისიის მიერ დადგენილი საკუთარი და მოზიდული კაპიტალის სტრუქტურისა და ღირებულების მიხედვით) ნორმის (WACC) გამოყენებით მოგების გადასახადამდე, რომელიც შეადგენს 16.40%-ს. შესაბამისად, რეგულირებადი აქტივების ბაზაზე ამონაგები განისაზღვრა 9,015,912 ლარის ოდენობით.

ამრიგად, კაპიტალური დანახარჯები ამონაგებისა და ცვეთის გათვალისწინებით შეადგენს 12,328,219 ლარს.

ინფორმაციის დასახელება	პროექტი
სულ კაპიტალური დანახარჯი (CAPEX = RAB*WACC + DEP) მათ შორის:	<b>12,328,219</b>
წლიური ცვეთა /ამორტიზაცია	<b>3,312,307</b>
ამონაგები აქტივებზე (RAB * WACC)	<b>9,015,912</b>

**საოპერაციო დანახარჯები (დღ-ის გარეშე)**

როგორც ზემოთ აღინიშნა, სატარიფო წლისთვის საოპერაციო დანახარჯების განსაზღვრისათვის გამოიყენება სატესტო წლის (2017 წელი) მონაცემები. აღნიშნული მონაცემების სისწორის და უტყუარობის დადასტურების მიზნით საწარმოს მიერ 2018 წლის 11 ივნისის №2245188 (კომისიაში რეგისტრაცია 12.06.2018წ., №7148/01) წერილით კომისიაში წარმოდგენილი იქნა დამოუკიდებელი აუდიტორული კომპანიის შპს „დელოიტი და ტუშის“ მიერ აუდიტირებული 2017 წლის ფინანსური ანგარიშგება, რომელიც ემთხვევა სატარიფო განაცხადის მონაცემებს. უნდა აღინიშნოს, რომ საწარმოს მიერ წარმოდგენილი სატარიფო განაცხადის მიხედვით საოპერაციო

*ტარიფებისა და ეკონომიკური ანალიზის დეპარტამენტი  
27 დეკემბერი, 2018 წელი*

*შპს „ჯიფაურის“ (აირტურბინა) გარანტირებული სიმძლავრის საფასური და ელექტროენერგიის წარმოების ზღვრული (ზედა ზღვარი) ტარიფი*

დანახარჯები ჯამურად შეადგენს 11,950,082 ლარს, მათ შორის: საწარმოო ძირითადი საშუალებების ცვეთა/ამორტიზაციის ხარჯი შეადგენს 3,430,778 ლარს, რომელიც სატარიფო მიზნებისათვის არის კაპიტალური დანახარჯების ნაწილი და შესაბამისად არ აისახება საოპერაციო ხარჯებში; ელექტროენერგიის წარმოებასთან დაკავშირებული ცვლადი საოპერაციო დანახარჯები შეადგენს 5,076,598 ლარს (ბუნებრივი გაზის ხარჯი); ხოლო გარანტირებული სიმძლავრის საფასურის დადგენასთან დაკავშირებული ფიქსირებული საოპერაციო დანახარჯები შეადგენს 3,442,705 ლარს.

შპს „ჯიფაურის“ მიერ სატარიფო განაცხადით წარმოდგენილი ინფორმაციის ანალიზისა და დამუშავების შედეგად საწარმოს საოპერაციო დანახარჯები გარანტირებული სიმძლავრის საფასურისა და გარანტირებული სიმძლავრის ელექტროენერგიის წარმოების ზღვრული (ზედა ზღვარი) ტარიფის მიზნებისათვის ფიქსირებულ და ცვლად დანახარჯებად კლასიფიცირების შედეგად უნდა შეადგენდეს:

- ფიქსირებული საოპერაციო დანახარჯები – **2,510,676** ლარი;
- ცვლადი საოპერაციო დანახარჯები – **6,825,620** ლარი.

***ფიქსირებული საოპერაციო დანახარჯები***  
*(გარანტირებული სიმძლავრის საფასური)*

დასახელება	სატარიფო განაცხადით	კომისიის აპარატის პროექტი	სხვაობა (ლარი)
სახელფასო ფონდი	613,112	477,715	(135,397)
ხარჯი ძირითად და დამხმარე მასალებზე	3,260	3,260	-
საწარმოო ძირითადი საშუალებების მიმდინარე რემონტის ხარჯი	511,063	417,480	(93,583)
ქიმიური რეაგენტების ხარჯი	8,735	8,735	-
წყლის ტექნიკური მოხმარების ხარჯი	86,017	-	(86,017)



შპს „ჯიფაუერის“ (აირტურბინა) გარანტირებული სიმძლავრის საფასური და ელექტროენერჯის წარმოების ზღვრული (ზედა ზღვარი) ტარიფი

ელექტროენერჯის კომუნალური და სამეურნეო ხარჯი	193,517	193,590	73
საკანცელარიო ხარჯი	672	672	-
საკონსულტაციო ხარჯი	115,358	105,020	(10,338)
დაცვის ხარჯი	39,661	39,661	-
იჯარის ხარჯი	57,774	57,774	-
დაზღვევის ხარჯი	227,153	221,943	(5,210)
ბაზრის ოპერატორის მომსახურების საფასური	122,622	99,590	(23,032)
კომისიის რეგულირების საფასური	41,224	31,972	(9,252)
ქონების გადასახადი	1,042,737	636,930	(405,807)
მიწაზე ქონების გადასახადი	7,392	7,392	-
სხვა საგადასახადო ხარჯი	26,651	-	(26,651)
სხვა საოპერაციო ხარჯები	345,757	208,942	(136,816)
<b>ჯამი</b>	<b>3,442,705</b>	<b>2,510,676</b>	<b>(932,029)</b>

ცხრილში მოცემულია, როგორც საწარმოს მიერ სატარიფო განაცხადით წარმოდგენილი, ასევე დეპარტამენტის მიერ 2017 სატარიფო წლის აუდიტირებული და მიზანშეწონილი მონაცემები.

როგორც ზემოაღნიშნული ცხრილიდან ჩანს, საოპერაციო ხარჯების გარკვეულ ნაწილში დაზუსტება განიცადა საწარმოს მიერ სატარიფო განაცხადით წარმოდგენილმა მონაცემებმა. კერძოდ:

**სახელფასო ფონდი** - საწარმოს მიერ წარმოდგენილი სატარიფო განაცხადით სახელფასო ფონდის ხარჯი შეადგენდა 613,112 ლარს. სახელფასო ფონდი ნაცვლად წარმოდგენილისა, განისაზღვრა **477,715** ლარით, რომელიც გამოანგარიშდა შემდეგნაირად: საწარმოს სატარიფო განაცხადით და კომისიის ელექტროენერჯეტიკის დეპარტამენტის დასკვნის მიხედვით თანამშრომელთა მიზანშეწონილი რაოდენობა 2019 სატარიფო წლისთვის შეადგენს 22 კაცს. რაც შეეხება ხელფასის ოდენობას,

ტარიფებისა და ეკონომიკური ანალიზის დეპარტამენტი  
27 დეკემბერი, 2018 წელი

*შპს „ჯიფაურის“ (აირტურბინა) გარანტირებული სიმძლავრის საფასური და ელექტროენერჯის წარმოების ზღვრული (ზედა ზღვარი) ტარიფი*

ტარიფებისა და ეკონომიკური ანალიზის დეპარტამენტს მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ შპს „ჯიფაურის“ თანამშრომელთათვის საშუალო ხელფასი განისაზღვროს თბოგენერაციის სეგმენტში ბოლო სატარიფო რეგულირებისას კომისიის მიერ შედარებითი ანალიზის საფუძველზე გამოყენებული ერთგვაროვანი სტანდარტის მიხედვით, რომელიც ერთ პერსონაზე შეადგენს - **1,790** ლარს. შედეგად, შპს „ჯიფაურის“ სატარიფო წლის წლიური სახელფასო ხარჯი შეადგენს **472,560** (1,790\*22\*12) ლარს.

ამასთან, ტარიფებისა და ეკონომიკური ანალიზის დეპარტამენტი მიზანშეწონილად მიიჩნევს საწარმოს საოპერაციო ხარჯების ხელფასების მუხლში გათვალისწინებული იქნეს „დაგროვებითი პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მოთხოვნის შესაბამისად გამოწვეული ხარჯები (2019 წლის 1 იანვრიდან), ვინაიდან დამსაქმებელი მონაწილე დასაქმებულის სახელით, დასაქმებულის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე ელექტრონული სისტემის მეშვეობით ახორციელებს საპენსიო შენატანს დასაქმებულზე გასაცემი დასაბეგრი ხელფასის 2 პროცენტის ოდენობით. აღნიშნულის გათვალისწინებით, დეპარტამენტის მიერ საწარმოსგან გამოთხოვილი იქნა 40 წელზე ნაკლები ასაკის მქონე თანამშრომელთა შესახებ ინფორმაცია, რომელმაც შეადგინა 12 კაცი, ხოლო მათთვის გადასახდელი საპენსიო შენატანის წლიური ხარჯი (2%) განისაზღვრა 5,155 ლარის ოდენობით.

შედეგად სატარიფო გაანგარიშებაში გათვალისწინებული სახელფასო ფონდი განისაზღვრა **477,715** ლარის ოდენობით.

საწარმოო ძირითადი საშუალებების მიმდინარე რემონტის ხარჯი - საწარმოს მიერ წარმოდგენილი სატარიფო განაცხადის მიხედვით შპს „ჯიფაურის“ სატესტო წლის საწარმოო ძირითადი საშუალებების მიმდინარე რემონტის ხარჯი შეადგენდა 511,063 ლარს. ტარიფებისა და ეკონომიკურ ანალიზის დეპარტამენტმა ელექტროენერჯეტიკის დეპარტამენტთან ერთად განახორციელა აღნიშნული

*ტარიფებისა და ეკონომიკური ანალიზის დეპარტამენტი  
27 დეკემბერი, 2018 წელი*



*შპს „ჯიფაუერის“ (აირტურბინა) გარანტირებული სიმძლავრის საფასური და ელექტროენერჯის წარმოების ზღვრული (ზედა ზღვარი) ტარიფი*

დანახარჯის შესწავლა და ანალიზი, როგორც დოკუმენტური დადასტურების, ასევე ტექნიკური მიზანშეწონილობისა და საჭიროების კუთხით, რის შედეგადაც აღნიშნულმა დანახარჯმა განიცადა ცვლილება, კერძოდ:

ა) ელექტროენერგეტიკული დეპარტამენტის დასკვნის მიხედვით, სს „ჯიფაუერის“ მიერ ერთი გაზის რეგულატორის შეკეთება 27,400 აშშ დოლარის (73,416 ლარის) ოდენობით, რომელიც შესრულებულია ჩეხეთში, Energo - Pro A.s. - ის მიერ (ხელშეკრულება №7/17,15 მარტი 2017 წ.) განეკუთვნება კაპიტალური რემონტების კატეგორიას. შესაბამისად აღნიშნული დანახარჯი 73,416 ლარის ოდენობით ამოღებული იქნა საწარმოს საოპერაციო დანახარჯებიდან და გადატანილი იქნა კაპიტალურ დანახარჯებში;

ბ) საწარმომ განახორციელა მომსახურების შესყიდვა შპს „მეგავატსერვისისაგან“ აირტურბინების ბოროსკოპირებაზე, რომლის სახელშეკრულებო ფასი შეადგენდა 30,000 ევროს (80,421 ლარს). ბოროსკოპირება განხორციელდა უშუალოდ PW Power Systems-ის მიერ, რომელთანაც თავის მხრივ ხელშეკრულება გააფორმა შპს „მეგავატსერვისმა“. მიუხედავად იმისა, რომ PW Power Systems-ს გააჩნია სათანადო გამოცდილება აღნიშნული მომსახურების განსახორციელებლად, საკითხის შესწავლისას გაჩნდა კითხვები, თუ რატომ მოხდა ამ უკანასკნელთან ხელშეკრულების გაფორმება შუამავალი კომპანიის მიერ და საკომპენსაციო თანხა ხომ არ მოიცავდა რაიმე ფასნამატს განხორციელებული შესყიდვის სქემიდან გამომდინარე. საწარმოსთან გავლილი კომუნიკაციის, აგრეთვე გამოთხოვილი ახსნა-განმარტებებისა და შესაბამისი მასალების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ შპს „ჯიფაუერის“ მიერ PW Power Systems-ისგან აღნიშნული მომსახურების პირდაპირი შესყიდვის შემთხვევაში მომსახურების საფასური იქნებოდა ნაკლები, რასაც ადასტურებს 2018 წელს შპს „ჯიფაუერის“ მიერ განხორციელებული ფასთა გამოკითხვა. 2018 წელს PW Power Systems მზადყოფნას გამოთქვამს, რომ შპს „ჯიფაუერის“ კუთვნილი აურტურბინების ბოროსკოპით დათვალიერება განახორციელოს 27,760 აშშ დოლარად. შესაბამისად, მიზანშეწონილად

*შპს „ჯიფაურის“ (აირტურბინა) გარანტირებული სიმძლავრის საფასური და ელექტროენერჯის წარმოების ზღვრული (ზედა ზღვარი) ტარიფი*

მიგვაჩნია 2017 წელს შპს „მეგავატსერვისის“ მიერ განხორციელებული ბოროსკოპით აირტურბინების დათვალიერების მომსახურების ასახვა სატარიფო გაანგარიშებაში მოხდეს 27,760 აშშ დოლარის ოდენობით, რომელიც ეროვნული ვალუტის აშშ დოლართან მიმართებაში 2017 წლის საშუალო კურსით ეროვნული ვალუტაში შეადგენს 69,650 ლარს, ნაცვლად სატარიფო განაცხადით წარმოდგენილი 80,421 ლარისა;

გ) დეპარტამენტი მიზანშეწონილად არ მიიჩნევს, ხარჯებში გათვალისწინებული იქნეს, სარემონტო მასალების ჩამოწერებში არსებული უსასყიდლოდ მიღებული საქონლის ღირებულება 9,396 ლარის ოდენობით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საწარმოო ძირითადი საშუალებების მიმდინარე რემონტის ხარჯის გონივრული და მიზანშეწონილი ოდენობა განისაზღვრა 417,480 ლარის ოდენობით.

წყლის ტექნიკური მოხმარების ხარჯი - საწარმოს მიერ წარმოდგენილი სატარიფო განაცხადის მიხედვით 2017 სატესტო წლის ტექნიკური წყლის მოხმარების ხარჯი შეადგენდა 86,017 ლარს. უნდა აღინიშნოს, რომ 2018 წლამდე საწარმო წყალს იღებდა შპს „მტკვარი ენერჯიდან“. 2018 წელს საწარმომ განახორციელა წყლის ჭაბურღილების გაბურღვა და ტექნიკური წყლის მოპოვების ავტონომიური სისტემის მოწყობა, რამაც მთლიანად უზრუნველყო შპს „მტკვარი ენერჯიდან“ მიღებული ტექნიკური წყლის ჩანაცვლება. ტექნიკური წყალმომარაგების აღნიშნულ რეკონტრუქციაზე დაიხარჯა 92,073 ლარი, რაც ასახულია საწარმოს რეგულირებადი აქტივების ბაზაში. შესაბამისად, იმის გათვალისწინებით, რომ 2018 წლიდან შპს „მტკვარი ენერჯისთან“ ხელშეკრულება შეწყდა, დეპარტამენტი მიზანშეწონილად არ მიიჩნევს აღნიშნული დანახარჯის 2019 წლის ტარიფში გათვალისწინებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მიუხედავად საწარმოს მიერ სატარიფო განაცხადით წარმოდგენილი 86,017 ლარისა, წყლის ტექნიკური მოხმარების ხარჯი არ



*შპს „ჯიფაუერის“ (აირტურბინა) გარანტირებული სიმძლავრის საფასური და ელექტროენერჯის წარმოების ზღვრული (ზედა ზღვარი) ტარიფი*

იქნა გათვალისწინებული შპს „ჯიფაუერის“ სატარიფო წლის საოპერაციო დანახარჯებში.

**ელექტროენერჯის კომუნალური და სამეურნეო ხარჯი** - საწარმოს მიერ წარმოდგენილი სატარიფო განაცხადის მიხედვით 2017 სატესტო წლის ხარჯი შეადგენდა 193,517 ლარს. ხოლო შემდგომში, ასევე საწარმოს მიერ წარმოდგენილი დეტალური საბუღალტრო გატარებების მიხედვით აღნიშნული დანახარჯი შეადგენდა 193,590 ლარს, რაც დადასტურდა დოკუმენტურად. შესაბამისად, დეპარტამენტი მიზანშეწონილად მიიჩნევს სატარიფო გაანგარიშებაში გათვალისწინებული იქნეს **193,590** ლარი, ნაცვლად სატარიფო განაცხადით წარმოდგენილი 193,517 ლარისა.

**საკონსულტაციო ხარჯი** - საწარმოს მიერ წარმოდგენილი სატარიფო განაცხადის მიხედვით, დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ შედგენილი ანგარიშით დადასტურებული შპს „ჯიფაუერის“ სატესტო წლის საკონსულტაციო დანახარჯი შეადგენდა 115,358 ლარს. დეპარტამენტმა განახორციელა აღნიშნული დანახარჯის შესწავლა და ანალიზი საწარმოს მიერ სატარიფო განაცხადის ფარგლებში წარმოდგენილი სხვადასხვა დოკუმენტების საფუძველზე (ხელშეკრულებები, შემოსავლების სამსახურის საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურებისა და სასაქონლო ზედნადებების (RS) რეესტრები, საბანკო ამონაწერები და სხვა), რის შედეგადაც საკონსულტაციო ხარჯის ოდენობამ განიცადა მცირე ცვლილება, კერძოდ, დეპარტამენტი მიზანშეწონილად არ მიიჩნევს ხარჯებში ასახული იქნეს ფინანსური კორექტირებების თანხები, რომელმაც შეადგინა 10,338 ლარი. შესაბამისად, დეპარტამენტს მიაჩნია, რომ საკონსულტაციო ხარჯის გონივრული და მიზანშეწონილი მოცულობა უნდა განისაზღვროს - **105,020** ლარის ოდენობით.

**დაზღვევის ხარჯი** - ნაცვლად საწარმოს მიერ სატარიფო განაცხადით წარმოდგენილი 227,153 ლარისა, პროექტით გათვალისწინებულია **221,943** ლარი, რომელიც შედგება ორი ნაწილისაგან: ქონების დაზღვევა - 217,743 ლარი გაფორმებული შპს დაზღვევის საერთაშორისო კომპანია „ირაოსთან“ და

*ტარიფებისა და ეკონომიკური ანალიზის დეპარტამენტი  
27 დეკემბერი, 2018 წელი*



*შპს „ჯიფაურის“ (აირტურბინა) გარანტირებული სიმბლავრის საფასური და ელექტროენერჯის წარმოების ზღვრული (ზედა ზღვარი) ტარიფი*

თანამშრომელთა ჯანმრთელობის დაზღვევა - 4,200 ლარი. ცვლილებები გამოწვეულია შემდეგი გარემოებებით:

ა) ქონების დაზღვევის ხარჯი საწარმოს მიერ წარმოდგენილი მონაცემებით შეადგენდა 215,528 ლარს, ხოლო დეპარტამენტის მიერ განსაზღვრული მიზანშეწონილი მოცულობა კი შეადგენს - **217,743** ლარს. სხვაობას წარმოადგენს უცხოურ ვალუტაში დაფიქსირებული სადაზღვევო პრემიის ეროვნულ ვალუტაში გადაანგარიშების მიზნით გამოყენებული გაცვლითი კურსი და სადაზღვევო პოლისში დაფიქსირებული წლიური ხარჯის მიკუთვნება შესაბამის წლებზე (გამომდინარე იქიდან, რომ დაზღვევის ხელშეკრულება გაფორმებულია წლის შიგნით, სადაზღვევო პოლისით გათვალისწინებული წლიური სადაზღვევო პრემიის მოცულობა ეკუთვნის როგორც 2017 წელს, ასევე 2018 წელს);

ბ) თანამშრომელთა ჯანმრთელობის დაზღვევის ხარჯი სატარიფო განაცხადის დაზღვევის ხარჯის მუხლით წარმოდგენილი არ ყოფილა, თუმცა ამ დანახარჯის მიზანშეწონილი ოდენობა განისაზღვრა 4,200 ლარის ოდენობით, რადგანაც ტარიფებისა და ეკონომიკური ანალიზის დეპარტამენტი მიზანშეწონილად მიიჩნევს, რომ შპს „ჯიფაურის“ თანამშრომელთა (ტექნიკური პერსონალი) ჯანმრთელობის დაზღვევის ხარჯთან მიმართებაში გათვალისწინებული იქნეს სხვა ლიცენზიატი საწარმოების სატარიფო რეგულირების ფარგლებში გამოყენებული მარეგულირებელი მიდგომები. კერძოდ, დაზღვევის ხარჯში გათვალისწინებული იქნეს საწარმოს თანამშრომელთა (ტექნიკური პერსონალი) ჯანმრთელობის დაზღვევის ხარჯი სს სადაზღვევო კომპანია „ჯი პი აი ჰოლდინგი“-სთან გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყოველთვიური სადაზღვევო მინიმალური შენატანის (საბაზისო სადაზღვევო პაკეტი) ოდენობით, რომელიც ერთ პირზე შეადგენს - 17.5 ლარს საშემოსავლო გადასახადის ჩათვლით (14 ლარი საშემოსავლო გადასახადის გარეშე), ხოლო 20 თანამშრომელზე წელიწადში შეადგენს - **4,200** ლარს;

*შპს „ჯიფაურის“ (აირტურბინა) გარანტირებული სიმძლავრის საფასური და ელექტროენერჯის წარმოების ზღვრული (ზედა ზღვარი) ტარიფი*

გ) არ იქნა გათვალისწინებული სს „სადაზღვევო კომპანია ჯი პი აი ჰოლდინგზე“ გადახდილი პასუხისმგებლობის დაზღვევის ღირებულება 11,499 ლარის ოდენობით, ვინაიდან არ წარმოადგენს აუცილებელ და მიზანშეწონილ ხარჯს ლიცენზიატი საწარმოს სტაბილური ფუნქციონირებისათვის;

დ) არ იქნა გათვალისწინებული სს „სადაზღვევო კომპანია ჯი პი აი ჰოლდინგზე“ გადახდილი ავტომობილის დაზღვევის ხარჯი 126 ლარის ოდენობით, ვინაიდან სადაზღვევო პოლისი წარმოდგენილია 2018 წელზე, რომელიც არ წარმოადგენს სატესტო წელს.

**ბაზრის ოპერატორის მომსახურების საფასური და კომისიის რეგულირების საფასური** - გამომდინარე იქიდან, რომ ორივე დანახარჯი წარმოადგენს არაკონტროლირებად საოპერაციო დანახარჯს და ამ ხარჯებთან დაკავშირებული მომსახურების საფასურები გაიანგარიშება ერთი მხრივ, „ელექტროენერჯის ტარიფების შესახებ“ კომისიის 2008 წლის 4 დეკემბრის №33 დადგენილებით დამტკიცებული ტარიფის, ხოლო მეორე მხრივ „ელექტროენერგეტიკის, ბუნებრივი გაზისა და წყალმომარაგების სექტორში რეგულირების საფასურის გაანგარიშების და გადახდის წესების დამტკიცების შესახებ“ კომისიის 2008 წლის 18 სექტემბრის №24 დადგენილებით დამტკიცებული კოეფიციენტის შესაბამისად, სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორის“ (ესკო) მომსახურების საფასური **0,019 თეთრი/კვტსთ** და კომისიის რეგულირების საფასური რეგულირებადი საქმიანობიდან მისაღები (დარიცხული) შემოსავლის **0,2%**-ის ოდენობით, დეპარტამენტის მიერ მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული ნაცვლად სატესტო წლის მონაცემებისა, პროექტში გათვალისწინებული იყოს ზემოაღნიშნული წესით გაანგარიშებული 2019 წლის საპროგნოზო ტექნიკურ-ეკონომიკური მონაცემების შესაბამისად. შედეგად, სატარიფო წლისთვის ბაზრის ოპერატორის მომსახურების საფასური უნდა განისაზღვროს **99,590** ლარის, ხოლო კომისიის რეგულირების საფასური - **31,972** ლარის ოდენობით.

*ტარიფებისა და ეკონომიკური ანალიზის დეპარტამენტი  
27 დეკემბერი, 2018 წელი*



**ქონების გადასახადი** - საწარმოს მიერ წარმოდგენილი სატარიფო განაცხადით ქონების გადასახადის ხარჯი შეადგენდა 1,042,737 ლარს, რომელიც როგორც წარმოდგენილი ქონების გადასახადის დეკლარაციების შესწავლის შედეგად გაირკვა, შედეგადა, როგორც 2017 სატესტო წლის ქონების გადასახადის ხარჯისგან, ასევე მოიცავს 2015 და 2016 წლების ქონების გადასახადის დეკლარაციების დაზუსტების შედეგად წარმოშობილ გაზრდილ ქონების გადასახადს (სხვაობას პირველად და დაზუსტებულ ქონების გადასახადის დეკლარაციაში ასახულ მონაცემებს შორის). დეპარტამენტი მიზანშეწონილად მიიჩნევს, მიმდინარე სატარიფო გაანგარიშებაში აისახოს მხოლოდ სატესტო 2017 წლის ხარჯი, რომელმაც შეადგინა **636,930** ლარი.

**სხვა საგადასახადო ხარჯი** - აღნიშნული ხარჯის ოდენობა წარმოდგენილი სატარიფო განაცხადით შეადგენდა 26,651 ლარს. აღნიშნული დანახარჯი შედგებოდა დანაკარგებზე დარიცხული დღგ-ისგან, ჩაუთვლელი დღგ-ის ხარჯისა და მოგების გადასახადისაგან, რაც არ იქნა გათვალისწინებული მიზანშეწონილ ხარჯებში. შესაბამისად ტარიფში გასათვალისწინებელ მიზანშეწონილ დანახარჯად განისაზღვრა **0** ლარი, ნაცვლად საწარმოს მიერ წარმოდგენილი 26,651 ლარისა.

**სხვა საოპერაციო ხარჯები** - საწარმოს მიერ სატარიფო განაცხადით წარმოდგენილი მაჩვენებელი შეადგენდა 345,757 ლარს, ხოლო ასევე საწარმოს მიერ წარმოდგენილი დეტალური ბუღალტრული გატარებების მიხედვით აღნიშნული ხარჯი შეადგენდა 345,754 ლარს, საიდანაც ცვლილება განიცადა სხვა საოპერაციო ხარჯების რამოდენიმე მუხლმა, კერძოდ დეპარტამენტის მიერ:

ა) არ იქნა გათვალისწინებული ისეთი ხარჯები, როგორცაა: ჯარიმები თანხით 708 ლარი, სხვადასხვა გაურკვეველი და დაუდასტურებელი ხარჯები თანხით 1,237 ლარი და მაკორექტირებელი ფინანსური გატარებები თანხით (5,083) ლარი. ჯამურად ხსენებულმა თანხებმა შეადგინა 3,138 ლარი ზრდის კუთხით;

ბ) საწარმოს სხვა საოპერაციო ხარჯების მუხლში ჩასმული ჰქონდა შპს „გაზის ტრანსპორტირების კომპანიის“ მიერ გაწეული ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების



*შპს „ჯიფაურის“ (აირტურბინა) გარანტირებული სიმძლავრის საფასური და ელექტროენერჯის წარმოების ზღვრული (ზედა ზღვარი) ტარიფი*

ხარჯი 151,060 ლარი. გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნული დანახარჯი წარმოადგენს ელექტროენერჯის წარმოებასთან დაკავშირებულ ცვლად დანახარჯს, გარანტირებული სიმძლავრის საფასურის გამომანგარიშებისათვის ამოღებული იქნა საოპერაციო დანახარჯებიდან და გათვალისწინებული იქნება ელექტროენერჯის წარმოების ნაწილში;

გ) საწარმოს მიერ წარმოდგენილი ცვლაში მომუშავე თანამშრომელთა კვებისა და ტრანსპორტირების ხარჯი ნაცვლად წარმოდგენილი 104,875 ლარისა, განისაზღვრა 99,769 ლარის ოდენობით. სხვაობამ შეადგინა - 5,106 ლარი. გამომდინარე იქიდან, რომ მიმწოდებელ კომპანიებს ზემოხსენებულ მომსახურებებს ნაცვლად თანამშრომლებისა უნაზღაურებს საწარმო, მის მიერ გადახდილი თანხები საქართველოს საგადასახადო კოდექსის (სსკ) მიხედვით განიხილება როგორც აღნიშნული მომსახურების თანამშრომლებზე მიწოდება და მათი სარგებელიც, შესაბამისად უნდა დაიბეგროს დამატებული ღირებულების და საშემოსავლო გადასახადებით. თუმცა, საწარმოს მიერ აღნიშნული გადასახადების გამომანგარიშება ხორციელდებოდა არასწორად, რაც დეპარტამენტის მიერ გასწორებული და გადაანგარიშებული იქნა სსკ-ის მოთხოვნების გათვალისწინებით და შემოსავლების სამსახურის უფროსის ბრძანებით დამტკიცებული №1810 სიტუაციური სახელმძღვანელოს (დაქირავებული პირის სარგებლის შესახებ) მიხედვით, რომელიც საჯაროა და განთავსებულია შემოსავლების სამსახურის ოფიციალურ ვებ-გვერდზე ([www.rs.ge](http://www.rs.ge));

დ) სხვა საოპერაციო ხარჯებში სატარიფო განაცხადის სხვა მუხლებიდან გამომნატანილი იქნა დოკუმენტურად დადასტურებული ხარჯი 140 ლარის ოდენობით, რომლითაც გაიზრდება სხვა საოპერაციო ხარჯების ოდენობა;

ე) ფიქსირებულ საოპერაციო ხარჯებში იქნა დამატებული საწარმოს მიერ გაზის მოხმარება სისტემასთან ასინქრონული შიდა ტექნოლოგიური პროცესისთვის 16,076 ლარის ოდენობით, რომლის დროსაც არ ხდება ელექტროენერჯის გამომუშავება და შესაბამისად არ წარმოადგენს ცვლად ხარჯს.

*შპს „ჯიფაურის“ (აირტურბინა) გარანტირებული სიმძლავრის საფასური და ელექტროენერჯის წარმოების ზღვრული (ზედა ზღვარი) ტარიფი*

ყველა ზემოაღნიშნული კორექტირების გათვალისწინებით საწარმოს სხვა საოპერაციო ხარჯები სატარიფო განაცხადით წარმოდგენილთან შედარებით შემცირდა 136,812 ლარით და მიზანშეწონილი დანახარჯი განისაზღვრა **208,942** ლარის ოდენობით.

დეპარტამენტის მიერ დოკუმენტური დადასტურებისა და შინაარსობრივი ანალიზის შედეგად, ცვლილება არ განხორციელებულა შპს „ჯიფაურის“ მიერ სატარიფო განაცხადით წარმოდგენილ შემდეგ საოპერაციო დანახარჯებთან მიმართებაში:

- ✓ ხარჯი ძირითად და დამხმარე მასალებზე;
- ✓ ქიმიური რეაგენტების ხარჯი;
- ✓ საკანცელარიო ხარჯი;
- ✓ დაცვის ხარჯი;
- ✓ იჯარის ხარჯი;
- ✓ მიწაზე ქონების გადასახადი.

**ცვლადი საოპერაციო დანახარჯები**

*(ელექტროენერჯის წარმოება)*

სატარიფო მეთოდოლოგიის შესაბამისად განისაზღვრა თბოელექტროსადგურის მიერ ელექტროენერჯის წარმოებისთვის მოხმარებული ბუნებრივი გაზის საშუალო ფაქტობრივი ხვედრითი ხარჯი (ბუნებრივი გაზის ფაქტიური ხარჯი/ელექტროენერჯის ფაქტიური გაცემა) 2017 წლის დეკემბრიდან 2018 წლის ნოემბრის ჩათვლით პერიოდზე. აღნიშნულმა კოეფიციენტმა შეადგინა **0.2883917** მ<sup>3</sup>/კვტსთ და 2019 სატარიფო წლისათვის განისაზღვრა ელექტროენერჯის სალტეზე გასაცემი ოდენობა **61.507975** მლნ.კვტსთ-ის ოდენობით, რომლის გაანგარიშებისასაც გამოყენებული იქნა საწარმოს ბოლო თორმეტი თვის ფაქტობრივი მონაცემები

*ტარიფებისა და ეკონომიკური ანალიზის დეპარტამენტი  
27 დეკემბერი, 2018 წელი*



*შპს „ჯიფაურის“ (აირტურბინა) გარანტირებული სიმძლავრის საფასური და ელექტროენერჯის წარმოების ზღვრული (ზედა ზღვარი) ტარიფი*

(ელექტროენერჯის გამომუშავება და სალტეზე გაცემა), ვინაიდან საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2018 წლის 5 დეკემბრის №1-1/547 წერილით მოწოდებული 2019 წლის ელექტროენერჯის (სიმძლავრის) ბალანსში შპს „ჯიფაურის“ მიერ ელექტროენერჯის გამომუშავება და სალტეზე გაცემა გათვალისწინებული არ არის. შესაბამისად, 2019 სატარიფო წლისთვის დაგეგმილმა ელექტროენერჯის წარმოებისათვის საჭირო ბუნებრივი გაზის ოდენობამ შეადგინა **17,738.389** ათასი კუბური მეტრი. აღნიშნული მონაცემების განსაზღვრისას ინფორმაციები მოწოდებული იქნა, როგორც საწარმოს სატარიფო განაცხადის ფარგლებში, ასევე, ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორიდან (ელექტროენერჯის ფაქტობრივი გამომუშავება და სალტეზე გაცემა თვეების მიხედვით) და საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიიდან (ელექტროენერჯის წარმოებისთვის საჭირო ბუნებრივი გაზის ფაქტობრივი ხარჯი თვეების მიხედვით).

სატარიფო განაცხადით წარმოდგენილი ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების მიხედვით ბუნებრივი გაზის ერთეულის შესყიდვის ფასია **143** აშშ დოლარი/1000 მ<sup>3</sup> დღე-ის გარეშე (შენიშვნა: ამავე ხელშეკრულებით განსაზღვრულია ანგარიშსწორების წესი ეროვნულ ვალუტაში – საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ყოველი თვის ბოლო საბანკო დღისთვის ლარის აშშ დოლართან მიმართებაში დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსით). 2019 წლის სატარიფო მიზნებისათვის ლარის აშშ დოლართან მიმართებით გაცვლით საპროგნოზო კურსად აღებული იქნა საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი 2018 წლის 27 დეკემბერისთვის (ტარიფის დადგენის დღე) მოქმედი ლარის აშშ დოლართან მიმართებით გაცვლითი კურსი, რომელმაც შეადგინა **2.6639**. გაზის ტრანსპორტირების ტარიფი დადგენილია კომისიის მიერ – **18.70** ლარი/1000 მ<sup>3</sup> დღე-ის გარეშე (ბუნებრივი გაზი საწარმოს მიეწოდება უშუალოდ გაზის ტრანსპორტირების კომპანიის მაგისტრალური ქსელის საშუალებით). ზემოხსენებულის გათვალისწინებით ბუნებრივი გაზის შესყიდვის ფასი



*შპს „ჯიფაურის“ (აირტურბინა) გარანტირებული სიმძლავრის საფასური და ელექტროენერჯის წარმოების ზღვრული (ზედა ზღვარი) ტარიფი*

განისაზღვრა **399.6377** (143\$\*2.6639+18.70) ლარი/1000 მ<sup>3</sup>-ზე. შესაბამისად, ტარიფში გასათვალისწინებელი სათბობის საერთო ღირებულება უნდა შეადგენდეს **7,088,929** (17,738.389\*399.6377) ლარს.

რეგულირების საფასურის საპროგნოზო ოდენობის გაანგარიშება ასევე მოხდა კანონშესაბამისად (კომისიის მიერ დამტკიცებული „რეგულირების საფასურის გაანგარიშებისა და გადახდის წესების დამტკიცების შესახებ“ 2008 წლის 18 სექტემბრის №24 დადგენილების მიხედვით – კოეფიციენტი 0.002). ზემოაღნიშნული მიდგომის გათვალისწინებით რეგულირების საფასურის საპროგნოზო ოდენობამ ცვლადი დანახარჯების ნაწილში შეადგინა **13,651** ლარი.

სატარიფო მეთოდოლოგიის თანახმად, კორექტირების გაანგარიშება განხორციელდა გასული რეგულირების (12.2017-11.2018) პერიოდისთვის, შპს „ჯიფაურის“ საკუთრებაში არსებული აირტურბინული ელექტროსადგურის მიერ ელექტროენერჯის წარმოებისათვის საჭირო ბუნებრივი აირის შესყიდვისას უცხოურ ვალუტასთან (აშშ დოლარი) მიმართებში ლარის კურსის დაგეგმილი და ფაქტობრივი სხვაობით და ასევე, ელექტროენერჯის წარმოებისათვის საჭირო ბუნებრივი აირის ხვედრითი ხარჯის დაგეგმილი და ფაქტობრივი მნიშვნელობების სხვაობით მიღებული სარგებლის ან ზარალის მიმართ. კერძოდ, დეპარტამენტის მიერ ზემოაღნიშნულ ოფიციალურ მონაცემებზე დაყრდნობით გაანალიზებული იქნა აღნიშნული ფაქტორებით მიღებული სხვაობა, მოქმედი (კომისიის მიერ დადგენილი) ტარიფით განსაზღვრულ შესაბამის მაჩვენებლებთან მიმართებაში. შედეგად, ვალუტის კურსთა შორის სხვაობამ დროში ფულის ღირებულებების (WACC) გათვალისწინებით შეადგინა სარგებელი 41,339 ლარის ოდენობით, ხოლო ბუნებრივი გაზის ხვედრითი ხარჯის მნიშვნელობებს შორის სხვაობამ, ასევე დროში ფულის ღირებულებების (WACC) გათვალისწინებით შეადგინა სარგებელი 134,571 ლარის ოდენობით, სულ – 175,910 ლარი. ასევე, კორექტირებას დაექვემდებარა 2017 წლის რეგულირების საფასური და სხვა ცვლადი საოპერაციო დანახარჯები, რომლებიც აგრეთვე დაკორექტირდა

*ტარიფებისა და ეკონომიკური ანალიზის დეპარტამენტი  
27 დეკემბერი, 2018 წელი*

*შპს „ჯიფაუერის“ (აირტურბინა) გარანტირებული სიმძლავრის საფასური და ელექტროენერჯის წარმოების ზღვრული (ზედა ზღვარი) ტარიფი*

დაგეგმილ და ფაქტობრივად სალტეზე გაცემულ ელექტროენერჯის მოცულობებს შორის გამოწვეული სხვაობითაც. შედეგად, ზემოაღნიშნული კორექტირებებისა და ამასთან, დადგენილი ტარიფით განსაზღვრული ყველა კორექტირების (მათ შორის, ე.წ. გრძელვადიანი კორექტირების) შესრულების სალდირებულმა ნაშთმა მიმდინარე სატარიფო პერიოდის გაანგარიშებისათვის მთლიანობაში შეადგინა უარყოფითი სალდო **276,960** ლარის ოდენობით.

ზემოთ აღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით შპს „ჯიფაუერის“ ცვლადი საოპერაციო დანახარჯების გაანგარიშება გამოიყურება შემდეგნაირად:

ინფორმაციის დასახელება	პროექტი
სულ ცვლადი საოპერაციო დანახარჯი, მათ შორის:	<b>6,825,620</b>
მოხმარებული ბუნებრივი გაზის რაოდენობა, ათ. მ <sup>3</sup>	17,738.389
ბუნ.გაზის საშუალო წლიური ხვედრითი ხარჯი ელ.ენერჯის სალტეზე გაცემასთან	0.288(3917)
ბუნებრივი გაზის ფასი, აშშ დოლარი/1000 მ <sup>3</sup>	143
ვალუტის გაცვლითი საპროგნოზო კურსი	2.6639
ტრანსპორტირების ტარიფი, ლარი/1000 მ <sup>3</sup>	18.70
ელ. ენერჯის გამომუშავება, მლნ კვტსთ	63.621
ელ. ენერჯის გაცემა სალტეზე, მლნ კვტსთ	61.507975
ბუნებრივი გაზის ღირებულება, ლარი	<b>7,088,929</b>
რეგულირების საფასური, ლარი	<b>13,651</b>
კორექტირების კომპონენტი, ლარი	<b>(276,960)</b>



სატარიფო მეთოდოლოგიით განსაზღვრული კორექტირების კომპონენტები

საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2014 წლის 30 ივლისის №14 დადგენილების დანართი №3-ით დამტკიცებული გარანტირებული სიმძლავრის საფასურის, გარანტირებული სიმძლავრის წყაროს ელექტროენერჯის წარმოების და ელექტროენერჯეტიკული ბაზრის ოპერატორის მომსახურების ტარიფების გაანგარიშების მეთოდოლოგიის მე-4 თავის თანახმად გათვალისწინებულია სატარიფო წლისთვის ტარიფების კორექტირება კაპიტალური და საოპერაციო დანახარჯებისა და არასაოპერაციო შემოსავლების კორექტირების მაჩვენებლებით, კერძოდ:

ა) კაპიტალური დანახარჯების კორექტირება - სატარიფო მეთოდოლოგიის მიხედვით კაპიტალური დანახარჯების კორექტირებული ოდენობა შედგება ამონაგებისა და ცვეთის კომპონენტების კორექტირებული ოდენობისგან. შპს „ჯიფაურისთვის“ კაპიტალური დანახარჯების კორექტირება შეეხო 2017 წლის ნოემბერ-დეკემბრის თვეებში განხორციელებულ ინვესტიციებს, რომლებიც წინა სატარიფო რეგულირებისას უნდა ასახულიყო 2018 წლის ტარიფში, თუმცა ვერ იქნა ასახული, გამომდინარე იქიდან რომ ტარიფის გაანგარიშების 2017 წელს ინვესტიციები წარმოდგენილი იყო მიმდინარე 10 თვის (ოქტომბრის ჩათვლით) მდგომარეობით. შესაბამისად, 2017 წლის ნოემბერ-დეკემბრის თვეში განხორციელებულმა დოკუმენტურად დადასტურებულმა ინვესტიციებმა შეადგინა 9,569 ლარი, აღნიშნულ ინვესტიციებზე ამონაგების ოდენობა განისაზღვრა 1,569 (9,569\*16,40%) ლარის ოდენობით, ხოლო 2018 წლის წლიური ცვეთის ოდენობა – 237 ლარის ოდენობით. გამომდინარე იქიდან, რომ ეს თანხები საწარმოს უნდა მიეღო 2018 წლის ტარიფით, 2019 წლის ტარიფში აღნიშნული თანხების კომპენსაცია უნდა მოხდეს დროში ფულის ღირებულების (ერთ წლიანი ჩამორჩენის) გათვალისწინებით. დროში ფულის ღირებულების განაკვეთი სატარიფო მეთოდოლოგიის მიხედვით განსაზღვრულია მოზიდული კაპიტალის ღირებულების ოდენობით და უდრის 12.93%-ს. აღნიშნულის



*შპს „ჯიფაურის“ (აირტურბინა) გარანტირებული სიმბლავრის საფასური და ელექტროენერჯის წარმოების ზღვრული (ზედა ზღვარი) ტარიფი*

გათვალისწინებით, ამონაგებისა და ცვეთის კომპონენტების საკორექტირო ოდენობები დროში ფულის ღირებულების გათვალისწინებით შეადგენს ჯამში – **2,039** ლარს.

2017 წელს განხორციელებული ინვესტიციების კორექტირება	<b>9,569</b>
Rd (მოზიდული კაპიტალის ღირებულება 2018 წ./დროში ფულის ღირებულების განაკვეთი)	<b>12,93 %</b>
ამონაგები განხორციელებულ ინვესტიციებზე (INV * WACC)	<b>1,569</b>
ამონაგების კორექტირებული ოდენობა დროში ფულის ღირებულების გათვალისწინებით (cRAB <sub>2019</sub> )	<b>1,772</b>
წლიური ცვეთა განხორციელებულ ინვესტიციებზე (DEP)	<b>237</b>
კორექტირებული წლიური ცვეთის ოდენობა დროში ფულის ღირებულების გათვალისწინებით (cDEP <sub>2019</sub> )	<b>267</b>
კაპიტალური დანახარჯების კორექტირებული ოდენობა (cCAPEX <sub>2019</sub> )	<b><u>2,039</u></b>

ბ) საოპერაციო დანახარჯების კორექტირება - სატარიფო მეთოდოლოგიის შესაბამისად, განსაზღვრულია საოპერაციო დანახარჯების კორექტირებაც – თუ სატარიფო წლისთვის საწარმოს მიერ ფაქტობრივად გაწეული საოპერაციო დანახარჯები განსხვავდება შესაბამისი ტარიფის დადგენისას გათვალისწინებული საოპერაციო დანახარჯების ოდენობისაგან, მაშინ კომისია უზრუნველყოფს საწარმოს რეგულირებადი დანახარჯების ბაზის კორექტირებას. ასევე, სატარიფო მეთოდოლოგიის შესაბამისად კორექტირებას უნდა დაექვემდებაროს შპს „ჯიფაურის“ 2017 წლის ტარიფის გაანგარიშებისთვის დაგეგმილი საოპერაციო დანახარჯები და უნდა მოხდეს მათი გაკორექტირება 2017 წლის ფაქტობრივ ხარჯებთან მიმართებაში. ცხრილში წარმოდგენილია აღნიშნული კორექტირების მაჩვენებლები, თითოეული საოპერაციო დანახარჯის მიხედვით:

შპს „ჯიფაუერის“ (აირტურბინა) გარანტირებული სიმძლავრის საფასური და ელექტროენერჯის წარმოების ზღვრული (ზედა ზღვარი) ტარიფი

დასახელება	2017 წლის ტარიფში ასახული ხარჯები	2017 წლის ფაქტობრივი ხარჯი კორექტირებისთვის	სხვაობა
სახელფასო ფონდი	429,600	429,600	-
ხარჯი ძირითად და დამხმარე მასალებზე	1,017	3,260	2,243
საწარმოო ძირითადი საშუალებების მიმდინარე რემონტის ხარჯი	165,129	417,480	252,351
ქიმიური რეაგენტების ხარჯი	-	8,735	8,735
წყლის ტექნიკური მოხმარების ხარჯი	84,745	86,017	1,271
ელექტროენერჯის კომუნალური და სამეურნეო ხარჯი	244,308	193,590	(50,718)
საკანცელარიო ხარჯი	1,651	672	(978)
სამივლინებო ხარჯი	11,447	-	(11,447)
საკონსულტაციო ხარჯი	133,471	105,020	(28,450)
დაცვის ხარჯი	39,661	39,661	-
იჯარის ხარჯი	73,426	57,774	(15,652)
დაზღვევის ხარჯი	227,003	221,943	(5,060)
ბაზრის ოპერატორის მომსახურების საფასური	122,208	122,482	274
კომისიის რეგულირების საფასური	28,312	28,312	-
ქონების გადასახადი	338,590	1,042,737	704,147
მიწაზე ქონების გადასახადი	7,392	7,392	-
სხვა საგადასახადო ხარჯი	17	-	(17)
სხვა საოპერაციო ხარჯები	172,002	208,942	36,940
<b>ჯამი:</b>	<b>2,079,979</b>	<b>2,973,616</b>	<b>893,637</b>

რაც შეეხება, დროში ფულის ღირებულების პრინციპს, ვინაიდან საწარმოს ფაქტობრივი საოპერაციო დანახარჯები 2017 წლისთვის აღემატებოდა დაგეგმილს, მიღებული დანაკლისი საწარმოს 2019 წლის ტარიფში უნდა დაუკომპენსირდეს ორ წლიანი ჩამორჩენით. აღნიშნულის გათვალისწინებით, საოპერაციო დანახარჯების კორექტირებული ოდენობა დროში ფულის ღირებულების გათვალისწინებით უნდა შეადგენდეს **1,145,828** ლარს ( $893,637 \cdot (1+13,54\%) \cdot (1+12,93\%)$ ).

ტარიფებისა და ეკონომიკური ანალიზის დეპარტამენტი  
27 დეკემბერი, 2018 წელი



შპს „ჯიფაურის“ (აირტურბინა) გარანტირებული სიმძლავრის საფასური და ელექტროენერჯის წარმოების ზღვრული (ზედა ზღვარი) ტარიფი

გ) **არასაოპერაციო შემოსავალი** - სატარიფო მეთოდოლოგიის მე-16 მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, კომისია უფლებამოსილია საწარმოს რეგულირებადი დანახარჯების ბაზა შეამციროს საწარმოს რეგულირებადი აქტივების ბაზაში ასახული აქტივების და რეგულირებად საქმიანობაში დასაქმებული ადამიანური რესურსების არარეგულირებად საქმიანობაში გამოყენებიდან და ექსპლუატაციიდან გასული აქტივის რეალიზაციიდან მიღებული მოგებით. შესაბამისად, დეპარტამენტი მიზანშეწონილად მიიჩნევს მასალების რეალიზაციიდან მიღებული მოგებით დაკორექტირებული (შემცირებული) იქნეს შპს „ჯიფაურის“ რეგულირებადი დანახარჯების ბაზა, რაც შეადგენს **712** ლარს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სულ დანახარჯების კორექტირების მაჩვენებელი უნდა შეადგენდეს **1,147,156** ლარს:

TOTAL CORR - დანახარჯების კორექტირების მაჩვენებელი	
საოპერაციო დანახარჯების საკორექტირო ოდენობა (cOPEX <sub>2019</sub> )	<b>1,145,828</b>
კაპიტალური დანახარჯების საკორექტირო ოდენობა (cCAPEX <sub>2019</sub> )	<b>2,039</b>
არასაოპერაციო შემოსავალი (nOPRev)	<b>(712)</b>
სულ დანახარჯების კორექტირების მაჩვენებელი (Total CORR=cOPEX <sub>2019</sub> +cCAPEX <sub>2019</sub> -nOPRev)	<b><u>1,147,156</u></b>

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ტარიფებისა და ეკონომიკური ანალიზის დეპარტამენტი თვლის, რომ შპს „ჯიფაურის“ სატარიფო წლის კორექტირებული რეგულირებადი დანახარჯების ბაზა გარანტირებული სიმძლავრის საფასურის გაანგარიშებისთვის უნდა განისაზღვროს **15,986,051** ლარის ოდენობით, ხოლო ცვლადი საოპერაციო დანახარჯების ბაზა - **6,825,620** ლარის ოდენობით.

„ელექტროენერჯეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონისა და მოქმედი სატარიფო მეთოდოლოგიის საფუძველზე, გარანტირებული სიმძლავრის საფასური დგინდება ყოველდღიურ განაკვეთზე (ბაზისზე).

ტარიფებისა და ეკონომიკური ანალიზის დეპარტამენტი  
27 დეკემბერი, 2018 წელი

*შპს „ჯიფაუერის“ (აირტურბინა) გარანტირებული სიმძლავრის საფასური და ელექტროენერჯის წარმოების ზღვრული (ზედა ზღვარი) ტარიფი*

შესაბამისად, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ 2018 წლის 22 ნოემბრის №6643/18 წერილის მიხედვით განისაზღვრა შპს „ჯიფაუერისთვის“ სატარიფო წელზე გარანტირებული სიმძლავრის უზრუნველყოფის პერიოდი და მან შეადგინა **335** დღე.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილ დოკუმენტაციებზე დაყრდნობით და დადგენილი სატარიფო მეთოდოლოგიის შესაბამისად, დეპარტამენტს მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ გარანტირებული სიმძლავრის საფასური შპს „ჯიფაუერისთვის“ განისაზღვროს – **47,720** ლარი/დღეზე, ხოლო გარანტირებული სიმძლავრის წყაროს ელექტროენერჯის წარმოების ზღვრული ტარიფი – **11.097** თეთრი/კვტსთ–ზე.

**რეგულირებადი დანახარჯების ბაზა და ტარიფები**

დასახელება	2018 წ. მოქმედი	2019 წ. პროექტი
კაპიტალური დანახარჯები სულ (CAPEX) ლარი	12,917,325	12,328,219
ფიქსირებული საოპერაციო დანახარჯები სულ (fix OPEX) ლარი	2,064,452	2,510,676
დანახარჯების კორექტირების მაჩვენებელი (Total CORR) ლარი	95,873	1,147,156
გარანტირებული სიმძლავრის რეგულირებადი დანახარჯების ბაზა (GUARANTEED RCB) ლარი	15,077,649	<u>15,986,051</u>
ცვლადი საოპერაციო დანახარჯები სულ (var OPEX) ლარი	5,164,882	<u>6,825,620</u>
გარანტირებული სიმძლავრის საფასურის ანაზღაურების პერიოდი (დღე)	336	<u>335</u>

*ტარიფებისა და ეკონომიკური ანალიზის დეპარტამენტი  
27 დეკემბერი, 2018 წელი*



შპს „ჯიფაურის“ (აირტურბინა) გარანტირებული სიმძლავრის საფასური და ელექტროენერჯის წარმოების ზღვრული (ზედა ზღვარი) ტარიფი

ელექტროენერჯის სალტეზე გაცემა (მლნ. კვტსთ)	54.765	61.508
გარანტ. სიმძლავრის საფასური (ლარი/დღე)	44,874	47,720
ელექტროენერჯის წარმოების ტარიფი (თეთრი/კვტსთ)	9.431	11.097

ტარიფები გაინგარიშება დღგ-ის გარეშე.

ტარიფებისა და ეკონომიკური ანალიზის დეპარტამენტი

27 დეკემბერი, 2018 წელი

